სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 სექტემბერი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/168

სტუდენტური სამეცნიერო იდეების კონკურსის - „იდეა საქართველოს მომავლისათვის 2035“ გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 29 ივნისის MES 1 26 0000816463 წერილის, ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის მთავარი სპეციალისტის (სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი) ნათია ჯაფარიძის 2026 წლის 26 აგვისტოს №1100276 და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი) რევაზ ოკუჯავას 2026 წლის 31 აგვისტოს №1113428 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სტუდენტური სამეცნიერო იდეების შესარჩევი კონკურსი - **„იდეა საქართველოს მომავლისათვის 2035“** და კონკურსში გამარჯვებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის (ან საინიციატივო ჯგუფის) იდეა, როგორც დროის გზავნილი მომავალი თაობებისთვის, განთავსდეს **„მომავლის მეცნიერების კაფსულაში“** („ცოდნა, რომელიც ქმნის მომავალს - 2035“), **რომელიც** საზეიმოდ გაიხსნება **2035 წელს.**
2. **კონკურსის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:**
   ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველ კონკურსანტთა სარეგისტრაციო განაცხადების მიღება განხორციელდეს ელექტრონულად, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის საშუალებით („წერილი კანცელარიას“, რექტორის სახელზე) გაგზავნის გზით, 2026 წლის **04 სექტემბრიდან 10 სექტემბრის 18:00 საათის ჩათვლით;**
   ბ) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი იდეების საკონკურსო კომისიის მიერ განხილვა, შეფასება და კონკურსანტთა პრეზენტაციების მოსმენა - 2026 წლის **11 სექტემბერი** (ზუსტი დრო დამატებით ეცნობებათ კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ სარეგისტრაციო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);
   გ) გამარჯვებული კონკურსანტის (საინიციატივო ჯგუფის) გამოცხადება - 2026 **წლის 14 სექტემბერი.**
3. **კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს** ბსუ-ს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე **სტუდენტებს** და ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე **პროფესიულ სტუდენტებს,** ინდივიდუალურად ან საინიციატივო ჯგუფის სახით (2–3 სტუდენტის/**პროფესიული სტუდენტის** შემადგენლობით).
4. კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი იდეები **შეფასდეს საკონკურსო კომისიის** მიერ, 100-ქულიანი სისტემით, შემდეგი **კრიტერიუმებისა** და მაქსიმალური ქულების განაწილების დაცვით:
   ა) იდეის ინოვაციურობა - 25 ქულა;

ბ) პრობლემის აქტუალობა - 25 ქულა;
გ) საქართველოსთვის და რეგიონისთვის მნიშვნელობა - 20 ქულა;
დ) განხორციელების რეალისტურობა - 10 ქულა;
ე) მოსალოდნელი სამეცნიერო/საზოგადოებრივი ეფექტი - 10 ქულა;
ვ) პრეზენტაცია (იდეის წარდგენის უნარი) - 10 ქულა.

5. საკონკურსო კომისია გამარჯვებულად გამოავლენს იმ კონკურსანტს ან საინიციატივო ჯგუფს, რომლის იდეაც კომისიის წევრთა მიერ ამ ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად (ქულათა ჯამი) მიიღებს ყველაზე მაღალ შეფასებას.
6. კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის, იდეების შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია,** წინამდებარე ბრძანების **№2 დანართის** შესაბამისად.
7. წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს სტუდენტების ინფორმირება განხორციელდეს ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
8. ეთხოვოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება („მომავლის მეცნიერების კაფსულის“ შეძენა ან სხვა, შესაბამისი აქტივობა).
9. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,სტუდენტური სამეცნიერო იდეების კონკურსის - „იდეა საქართველოს მომავლისათვის 2035“ გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 03 სექტემბრის №01-02/163 ბრძანება.
10. ბრძანება განთავსდეს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'', პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
11. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, რექტორის აპარატს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
12. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე

,,სტუდენტური სამეცნიერო იდეების კონკურსის - „იდეა საქართველოს მომავლისათვის 2035“ გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ''

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 04 სექტემბრის №01-02/168 ბრძანების

დანართი №1

სტუდენტური სამეცნიერო იდეების კონკურსის „იდეა საქართველოს მომავლისათვის 2035“ **სარეგისტრაციო ფორმა**

„იდეა საქართველოს მომავლისათვის“
სარეგისტრაციო განაცხადი

გთხოვთ, შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი და განაცხადს დაურთოთ კონკურსის პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები.

I. ინფორმაცია კონკურსანტის ან და საინიციატივო ჯგუფის შესახებ:

1. კონკურსანტის სახელი და გვარი ან ჯგუფის სახელი: _____
2. პირადი ნომერი: _____
3. ელფოსტა: _____
4. ტელეფონის ნომერი: _____
5. ჯგუფის წევრების სახელი გვარი (ასეთი არსებობის შემთხვევაში):

_____

_____

II. ინფორმაცია სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ

6. ფაკულტეტი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

_____

7. სწავლის საფეხური: ☐ პროფესიული განათლება; ☐ ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი/საბაკალავრო-სამაგისტრო; ☐ მაგისტრატურა; ☐ დოქტორანტურა.

III. ინფორმაცია სამეცნიერო იდეის შესახებ

8. სამეცნიერო იდეის დასახელება: _____
9. სამეცნიერო მიმართულება:

☐ ფუნდამენტური, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
☐ ინჟინერია, მშენებლობა და ტექნოლოგიური მენეჯმენტი
☐ ხელოვნური ინტელექტი, კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიები
☐ კლინიკური მედიცინა, ჯანდაცვა და ბიოტექნოლოგია
☐ გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება
☐ აგროტექნოლოგიები და აგროეკოლოგია
☐ ეკონომიკა და ბიზნესის განვითარება
☐ განათლება და ინოვაციები
☐ სოციალური მეცნიერებები და ელექტრონული მმართველობა
☐ ჰუმანიტარული მეცნიერებები და ციფრული ჰუმანიტარია
☐ თანამედროვე და მწვანე ენერგეტიკა
☐ კულტურა და მემკვიდრეობა
☐ სხვა: _____

10. **იდეის მოკლე ანოტაცია,** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება 2035 წლისთვის? (100- 500 სიტყვა):

_____

_____

_____

11. **რა პრობლემის გადაჭრას ემსახურება თქვენი იდეა?**

_____

_____

12. **რა წარმოადგენს იდეის ძირითად სამეცნიერო სიახლეს ან ინოვაციურ კომპონენტს?**

_____

_____

13. **რა მნიშვნელობა აქვს იდეას საქართველოს სამეცნიერო, ტექნოლოგიური ან საზოგადოებრივი განვითარებისათვის?**

_____

_____

14. **როგორია იდეის მოსალოდნელი შედეგები?**

_____

_____

IV. კონკურსანტის დეკლარაცია (განაცხადი)

15. _____, **ვადასტურებ, რომ:**

- წარმოდგენილი სამეცნიერო იდეა შექმნილია ჩემი/ჩვენი ავტორობით;
- წარმოდგენილი ინფორმაცია არის სრული და ზუსტი;
- არ არღვევს სხვა პირის საავტორო ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს;
- გავეცანი კონკურსის პირობებს და ვეთანხმები მათ;
- ვეთანხმები კონკურსის ფარგლებში ჩემი სახელისა და გვარის, იდეის დასახელებისა და კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროდ გამოყენებას;
- გამარჯვების შემთხვევაში ვეთანხმები ჩემი სამეცნიერო იდეის „მომავლის მეცნიერების კაფსულაში" განთავსებას.

V. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე განმცხადებლის (მონაცემთა სუბიექტის) წერილობითი თანხმობა

აპლიკანტი/ები (მონაცემთა სუბიექტი) აცხადებს/ენ თანხმობას, რომ ამ განაცხადის განხილვის მიზნებისათვის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს ამ განაცხადში მითითებული ინფორმაცია.

აპლიკანტი/ები ადასტურებს/ებენ რომ ინფორმირებულია მისი/მათი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, მათ შორის, უფლებამოსილებაზე მიიღოს/ონ ინფორმაცია მის/მათ შესახებ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვადასტურებ ხელმოწერით: _____

16. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი/ჩვენი საკონკურსო განაცხადი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

□ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ები;

□ სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა/ები;

□ სხვა დოკუმენტები:

კონკურსანტის/ები სახელი და გვარი: _____

ხელმოწერა: _____ თარიღი: ____ / ____ / 20____

,,სტუდენტური სამეცნიერო იდეების კონკურსის - „იდეა საქართველოს მომავლისათვის 2035“ გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ''
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 04 სექტემბრის №01-02/168 ბრძანების

დანართი №2

სტუდენტური სამეცნიერო იდეების შესარჩევი კონკურსის - **„იდეა საქართველოს მომავლისათვის 2035“**
საკონკურსო კომისია

1. თამარ სირაძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
2. ლევან ტარიელაძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი - თავმჯდომარის მოადგილე;
3. გოგა ბაუჟაძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვიტარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, **კომისიის მდივანი;**
4. შალვა შალიკაძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
5. გიორგი დიასამიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;
6. ნათია ჯაფარიძე - სამეცნიერო კვლევების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი), კომისიის წევრი.